პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 9 ივლისი, 1946 წ. № 136 (7609). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიისა და ხალხის იდეური შეიარაღება. მოწინავე (1-ლი გვერდი).

„ოთხთა კონფერენციის" გარშემო (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების განვითარების ხუთწლიანი გეგმა (მე-2 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის გეგმების ვადამდელ შესრულებისათვის (მე-3 გვერდი).

მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება ბიბლიოთეკებსა და მათ მუშაკებს (მე-3 გვერდი).

ელიზბარ პოლუმორდვინოვი—ორი ფრონტი (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

პარტიისა და ხალხის იდეური შეიარაღება

დიადი შემოქმედებითი შრომის პათოსმა მოიცვა მთელი საბჭოთა ქვეყანა. ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმა მილიონობით მშრომელთა დროშა, მათი ბრძოლისა და მუშაობის საბრძოლო პროგრამა გახდა. ხუთწლედის დიადმა ამოცანებმა — უმოკლეს ვადაში აღვადგინოთ ყოველივე, რაც მტერმა დაანგრია, მივაღწიოთ და შემდეგ გადავაჭარბოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელ დონეს —აღაფრთოვანეს საბჭოთა ადამიანები, გამოიწვიეს ახალი პატრიოტული აღმავლობა, რაც თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ყოველდღიურ წარმატებებში.

ბოლშევიკური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი იბრძვიან ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის და დარწმუნებული არიან თავიანთი საქმის წარმატებაში, ვინაიდან მათ ხელშია ნაცადი და მტკიცე იარაღი. ეს იარაღია — ყველა მეცნიერებათა მეცნიერება — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ. ეს დიადი და ყოვლისშემძლე მოძღვრება პარტიასა და ხალხს აძლევს რწმენას, ორიენტირების ძალას, მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგებას, საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების გაგებას.

„მოწინავე მებრძოლის როლი შეიძლება შეასრულოს მხოლოდ იმ პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით", — გვასწავლიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ლენინ-სტალინის პარტიამ, რომელიც ლენინიზმის მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს, ჩვენი ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალიზმის გამარჯვებამდე. მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც, ომის მძიმე განსაცდელის წლებშიც მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება გზის მანათობელი ვარსკვლავი იყო ბოლშევიკების პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის. სამამულო ომში ჩვენი დიდი გამარჯვება, რომლის მსგავსი დღემდე ისტორიაში არ ყოფილა, ლენინ-სტალინის იდეების ტრიუმფი იყო. ამ იდეებმა, რომლებმაც აითვისეს ისტორიული განვითარების მთელი ახალი გამოცდილება, გამდიდრებულმა ამ გამოცდილებით, თავი იჩინეს, განსაკუთრებით ჩვენი გამარჯვების თვალსაზრისით, როგორც ცოცხალმა და უძლეველმა ძალამ, რომელიც მძლავრ, გარდამქმნელ გავლენას ახდენს საზოგადოების მთელ განვითარებაზე, როგორც იმ ძალამ, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ჩააყენა მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში.

ახალი ხუთწლედისა და მომავალი ხუთწლედების დიადი შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრისას, რაც მოითხოვს ჩვენი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების დაძაბვას, უნდა გვახსოვდეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირობა. ამ პირობის შესახებ ამხანაგი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე ამბობდა:

„თუ ჩვენ შევძლებდით მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების იდეოლოგიურად მომზადებას და მათ იმდენად გამობრძმედას პოლიტიკურად, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, თუ ჩვენ შევძლებდით მათ გადაქცევას სავსებით მომწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად, რომელთაც შეეძლებათ ისე გადასწყვიტონ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, რომ სერიოზული შეცდომები არ დაუშვან,—ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა უკვე გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა ყველა ჩვენი საკითხის ცხრა მეათედი".

ამხანაგი სტალინი გვასწავლის და ცხოვრება, გამოცდილება თვალსაჩინოდ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი სამეურნეო წარმატებები, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე. „რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტურია მუშაობის შედეგები".

მაშასადამე, საქმე ეხება იმას, რომ ახალი ხუთწლედის ახალი ამოცანები, გიგანტური თავისი მასშტაბითა და თავისი ისტორიული მნიშვნელობით, მტკიცედ მოითხოვენ პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას, კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით მასების აღზრდის საქმის გაუმჯობესებას, მტრული იდეოლოგიის ნაშთებისა და გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მთელი იდეოლოგიური მუშაობის ახალი მძლავრი აღმავლობა, საჭიროა მთელი ძალით გამოვიყენოთ ყველა მისი იარაღი და საშუალება. ეს ნიშნავს, რომ ახალ, უფრო მაღალ დონეზე უნდა იქნას აყვანილი საბჭოთა პრესა, პროპაგანდა და აგიტაცია, მეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება, თეატრების, რადიოს, კინოს მუშაობა. კარგი წიგნი, კარგი სპექტაკლი, კარგი კინოფილმი იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვებაა, და პირიქით,—ცუდი წიგნი, ცუდი სპექტაკლი, ცუდი ფილმი სერიოზულ ზიანს აყენებს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, და მაშასადამე, სოციალისტური მშენებლობის მთელ საქმეს. იდეოლოგიური მუშაობა ცხოვრებისაგან განყენებული რამე როდია. პირიქით, იგი უნდა დაემორჩილოს საბჭოთა ხალხის წინაშე ამჟამად მდგომ საბრძოლო ამოცანებს. იგი მხარდამხარ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებას, მდიდრდებოდეს ცხოვრებისაგან, უპასუხებდეს ყოველ საკითხზე, რომელსაც ცხოვრება ყოველდღე აყენებს.

მასებში მთელი იდეოლოგიური მუშაობა ახალ სიმაღლეზე რომ ავიყვანოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ავამაღლოთ პარტიული პროპაგანდა, ჩვენი კადრების მიერ, პირველ რიგში პარტიული კადრების, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მიერ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თეორიის შესწავლის დონე.

უდიდესი მოვლენა პარტიის იდეოლოგიურ ცხოვრებაში, მოვლენა, რომელიც პარტიას ხელში აძლევს ახალ მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს, არის ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემა, რაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გამოდის. 1946-1948 წ. წ. განმავლობაში განხორციელდება მთელი გამოცემა, რომელიც 16 ტომისაგან შესდგება და წარმოადგენს ი. ბ. სტალინის ყველა ნაწარმოებს, დაწყებული 1901 წლიდან დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამდე, ერთად შეკრების პირველ ცდას. განაგრძობს რა ლენინის მოძღვრებასა და საქმეს, ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ავითარებს და წინ სწევს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ამხანაგ სტალინის ნაწარმოებები იდეურად აიარაღებენ ჩვენს კადრებს, ბასრ და ქმედით იარაღს წარმოადგენენ ახალი ხუთწლედისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და ძალის შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომის გამოსვლას ჩვენი კადრები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. მრავალი და მრავალი ათასი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი უკვე შეუდგა ამ წიგნის შესწავლას. პირველ ტომში შეკრებილია ნაწარმოებები, რომლებიც ეხებიან 1901-1907 წ. წ., მაგრამ არა მარტო ისტორიის საკითხებზე მიიღებენ პასუხს ჩვენი ადამიანები ამ წიგნში. ისინი პასუხს ღებულობენ თანამედროვეობის მრავალ საკითხზე, პოულობენ მასში ორიენტირების დიდ ძალას ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ბრძოლისა და შრომის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. ამ წიგნში შეკრებილი ნაწარმოებები ასწავლიან ჩვენს კადრებს ბოლშევიკურ პარტიულობას, ეხმარებიან მათ გაიგონ რევოლუციურ ბრძოლაში სოციალისტური შეგნების უდიდესი მნიშვნელობა და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ამ ბრძოლაში, ასწავლიან თეორიის შეხამებას პრაქტიკასთან, ზრდიან მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, განუმარტავენ სოციალიზმისა და ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლებს.

საბჭოთა წყობილებამ, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ დემოკრატიას ყველასათვის, ხალხისათვის, დარაზმა და მოიზიდა უფართოესი მასები სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის. მილიონობით საბჭოთა პატრიოტები ცხოველ ინტერესს იჩენენ თავიანთ ქვეყნის ბედისათვის, ცდილობენ გაიგონ საზოგადოებრივი განვითარების კანონები და ისარგებლონ ამ კანონებით თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში — პარტიულ, სახელმწიფოებრივ, სამეურნეო, საწარმოო მუშაობაში. ლენინისა და სტალინის ნაწარმოებები წარმოადგენენ საიმედო თეორიულ კომპასს საბჭოთა პატრიოტების ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალი წარმატებისათვის.

კომუნისტურ პარტიას ყველა საშუალება და შესაძლებლობა მოეპოვება, რომ წარმატებით გადაწყვიტოს მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლების ამოცანა. ამ საშუალებათა და შესაძლებლობათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს— მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების გამოცემას. ვ. ი. ლენინის თხზულებათა ორმოცტომიანი გამოცემის განახლება, რომელიც ომით იყო შეწყვეტილი, შესაძლებლობას მისცემს მშრომელთა ახალ მილიონებს დაეწაფონ ამ უდიდეს თეორიულ საგანძურს. ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემის განახლება, ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემის დაწყება ეხმარება პარტიისა და საბჭოთა ხალხის შეიარაღებას კომუნიზმის მოწინავე იდეებით, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა დაეხმარონ ჩვენს კადრებს ამ ნაწარმოებათა შესწავლაში და ამით ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ კომუნიზმის სულისკვეთებით მასების იდეოლოგიური აღზრდის საქმე.

„პრავდის" 7/VII მოწინავე

„ოთხთა კონფერენციის" გარშემო

პარიზი, 6 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მინისტრთა მოადგილეების თათბირს დაავალა მოამზადოს წინადადებანი საზავო კონფერენციის ორგანოების შესახებ, შეათანხმოს პროცედურის წესების პროექტი და მოწვევის ტექსტი. ოთხი მინისტრის კონფერენციის დღევანდელ სხდომის დაწყებისას, როგორც ჩვეულებრივ, გაკეთებულ იქნა ინფორმაცია მინისტრთა მოადგილეების თათბირის მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ მინისტრთა მოადგილეების თათბირზე იყო საზავო კონფერენციის პროცედურის (რეგლამენტის) წესების ორი პროექტი: საფრანგეთის დელეგაციის პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა და საბჭოთა დელეგაციის პროექტი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპული განსხვავება შემდეგია: საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ შეიქმნას საზავო ხელშეკრულებათა პროექტების ხუთი კომისია და ზოგიერთი სხვა კომისია, აგრეთვე შეიქმნას გენერალური კომისია, რომლის ამოცანა იქნება ცალკეულ კომისიათა მუშაობის კოორდინირება. რეგლამენტის საბჭოთა პროექტის მიხედვით გენერალური კომისია უნდა შესდგებოდეს საზავო კონფერენციის მონაწილე დელეგაციების მეთაურთა მოადგილეებისაგან. გენერალურ კომისიას ეთმობა დაქვემდებარებული როლი კონფერენციის პლენუმის მიმართ, რაც შეესაბამება საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც, როგორც ცნობილია, მთელი მუშაობა საზავო ხელშეკრულებათა პროექტებს რეკომენდაციის წარდგენის მხრივ სწორედ საზავო კონფერენციას დაეკისრა და არა რომელიმე სხვა კომისიას.

სრულიად სხვა როლი ეთმობა გენერალურ კომისიას საფრანგეთის პროექტში, რომელსაც მხარი დაუჭირეს ამერიკელებმა და ინგლისელებმა. ამ პროექტის მიხედვით, უნდა შეიქმნას გენერალური კომისია ყველა დელეგაციის მეთაურთა შემადგენლობით. ამასთან ეს კომისია ხდება საზავო კონფერენციის ერთგვარ ზემდგომ ორგანოდ და სცვლის მას. გენერალურმა კომისიამ საფრანგეთის პროექტის მიხედვით წინასწარ უნდა მიიღოს კველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რის შედეგადაც საზავო კონფერენცია გადაიქცეოდა ისეთ დაწესებულებად, რომელიც მხოლოდ ილ იქნებოდა გენერალური კომისიის გადაწყვეტილებათათვის დასტურის მიცემის როლით. თუ ამას მივუმატებთ, რომ გენერალური კომისიის სხდომები, როგორც წესი, დახურული უნდა იყოს, მაშინ როცა საზავო კონფერენციის პლენარული სხდომები ღია იქნება, ასეთი პროექტის აზრი სავსებით ნათელია. იგი იმაში მდგომარეობს, რომ შესცვალოს ოლის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ფართო ფორუმი დახურული კომისიით, რომელიც მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მხრივ კონტროლის გარეშე, რაც გასაქანს აძლევს ყოველგვარ შეთანხმებებს და ზედა ფენათა კომბინაციებს, რომლებიც საზავო კონფერენციის ზურგს უკან ხდება. როგორც მინისტრთა საბჭოს დღევანდელ სხდომაზე გამოირკვა, დღითი შემდგარ მინისტრთა მოადგილეების თათბირზე ამ პროექტის დასაცავად პირდაპირ წამოაყენეს ასეთი მოტივირება: გენერალური კომისია ყველა საკითხს სწყვეტს, საზავო კონფერენცია კი მხოლოდ ამტკიცებს მის გადაწყვეტილებებს, ფორმას იცავსო.

საზავო კონფერენციის რეგლამენტის პროექტებს შორის სხვა განსხვავებაც არსებობს, მაგრამ დღეს მთელი ყურადღება მიეპყრო მთავარი საკითხის—საზავო კონფერენციის როლის საკითხის განხილვას, რაც დაკავშირებულია გენერალური კომისიის ხასიათისა და ფუნქციების საკითხთან.

საბჭოთა დელეგაციამ, რომელიც იცავს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს, გაილაშქრა იმ გამოაშკარავებული ტენდენციის წინააღმდეგ, რომ საზავო კონფერენცია გადაიქცეს ავტომატურ მექანიზმად, რომელიც მხოლოდ დასტურს აძლევს გენერალური კომისიის გადაწყვეტილებებს. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ ეს ტენდენცია არ შეესაბამება საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს. საზავო კონფერენციის მუშაობის ასეთი წესი დიდ ზიანს მიაყენებდა მის ავტორიტეტს და შეამცირებდა მის მნიშვნელობას. ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, ვის ამოცანასაც წარმოადგენს საზავო კონფერენციის მომზადება და მოწვევა, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ კონფერენციისათვის. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს არ შეუძლია ინდიფერენტული პოზიცია დაიკავოს, როცა საზავო კონფერენციის ავტორიტეტს საფრთხე მოელის. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც რომელიმე კომისიას, თუნდაც გენერალურად წოდებულს, შეეძლება შესცვალოს 21 სახელმწიფოს საზავო კონფერენცია. უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ სწორედ საზავო კონფერენცია ასრულებდეს ძირითად და გადამწყვეტ როლს მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა ზუსტი შესაბამისობით. შეუწყნარებელია იმის ცდა, რომ ეს როლი დაკნინდეს საზოგადოებრიობის მხრივ კონტროლის გაუწევლად მომუშავე ვიწრო ორგანოს მიერ საზავო კონფერენციის პრეროგატივათა უზურპაციის გზით.

ლუქსემბურგის სასახლეში შემდგარ დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა უშუალოდ შესდგომოდნენ საზავო კონფერენციის პროცედურის წესების განხილვას. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ მინისტრთა მოადგილეებმა მთელ რიგ პუნქტებში შესძლეს დაეახლოვებინათ არსებული თვალსაზრისები და აზრი გამოსთქვა, რომ საქმიანი წესით კონკრეტული განხილვის გზით შეიძლებოდა ცდილიყვნენ საერთო თვალსაზრისი ეპოვნათ პროცედურის წესების შესახებ.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციის წინადადება შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა სხვა დელეგაციების მხრივ, განსაკუთრებით ამერიკელთა და ინგლისელთა მხრივ. ამის შედეგად მთელი სხდომა მოუნდა კამათს ყოველგვარი წინასწარი საკითხების შესახებ. ამით საზავო კონფერენციის რეგლამენტის საკითხის გადაჭრა გაჭიანურდა, ხოლო ამის გამო გადადებულ აღმოჩნდა სხვა საკითხებიც, რომლებიც მინისტრთა საბჭოს მიერ განხილვას ელიან. ამის გამო დაყოვნდა საზავო კონფერენციის მონაწილეთა მოწვევის ტექსტის დამტკიცებაც.

საბჭოთა მხარემ აღნიშნა, რომ, რამდენადაც კონფერენციის მოწვევისათვის პასუხს აგებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში წარმოდგენილი ოთხი მთავრობა, საბჭოთა დელეგაცია ვერ იკისრებს თავის წილ პასუხისმგებლობას, თუ 21 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან შემდგარი საზავო კონფერენცია გადაიქცევა საშტამპავ მანქანად, რომელიც მექანიკურად იწონებს იმ გადაწყვეტილებებს, რაც მიღებული იქნება გენერალური კომისიის მიერ, რომლის შექმნაც წინათ გათვალისწინებული არ ყოფილა. რამდენადაც გამოირკვა, რომ ასეთი ტენდენციები არსებობს, საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლად არ მიაჩნია არ დაინახოს ეს საფრთხე. რამდენადაც გამომჟღავნდა განზრახვა, რომ საზავო კონფერენციას მიაკუთვნონ წმინდა დეკორაციული როლი, კონფერენციის სათანადო ავტორიტეტის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ მინისტრთა საბჭომ მოამზადოს პროცედურის შეთანხმებული წესები, რომლებიც განსახილველად უნდა წარედგინოს საზავო კონფერენციას, როცა იგი შეიკრიბება.

საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ მეტად შეუპოვრად გაილაშქრეს ამერიკელებმა და ინგლისელებმა. ამერიკის მხარემ ისეთი ორიგინალური იდეაც კი გამოსთქვა, რომ შეიძლება შეთანხმება პროცედურის შეთანხმებული წესების შემუშავებაზე, მაგრამ იმ უცილობელი პირობით, რომ ეს წესები სავალდებულო არ იქნება მინისტრთა საბჭოს წევრებისა და კონფერენციის სხვა მონაწილეებისათვის. მაგრამ მაშინ რა აზრი აქვს პროცედურის წესების შეთანხმებას?

საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზავო კონფერენციის გენერალური კომისიით შეცვლის არსებული წინადადებანი წარმოადგენენ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა პირდაპირ დარღვევას. შეიძლებოდა თავი აგვერიდებინა პროცედურის იმ წესების დადგენას, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა შესრულება, რომლებმაც განსაზღვრეს საზავო კონფერენციის როლი და ადგილი. უნდა ვიფიქროთ, რომ მალე სხვა დელეგაციებისთვისაც გასაგები გახდება ეს მარტივი ჭეშმარიტება და მაშინ გახდება დაბრკოლებანი საზავო კონფერენციის რეგლამენტის შემუშავებაში, რომლის მოწვევასაც ელიან ომის მონაწილე ხალხები.

დამახასიათებელია, რომ პრესის ის ნაწილი, რომელსაც სენსაცია უყვარს, კვლავ გამოვიდა „ჩიხის" შესახებ, სადაც თითქოს მოექცა მინისტრების კონფერენცია მოეწყვედა. ამასთან ზოგიერთი გაზეთი, როგორც ჩვეულებრივ წამოაყენებს ხოლმე გარკვეული წრეების ვარაუდებს. მაგალითად, გაზეთი „მონდი" სწერს, რომ საზავო კონფერენცია ის ორგანო უნდა იყოს, რომელიც შესძლებს ახლად განიხილოს და ძირეული რევიზია გაუკეთოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მიღწეულ შეთანხმებებს. აშკარაა, რომ საერთაშორისო რეაქციას უფრო მოეწონებოდა საზავო კონფერენციის მუშაობის ისეთი წესი, რომელსაც საერთო არა აქვს რა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის მიერ დადგენილ წესთან.

საზავო კონფერენციის რეგლამენტის საკითხის გადაჭრის გაჭიანურების გამო დღეს კვლავ გადადებული აღმოჩნდა გერმანიის პრობლემის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს მის მალე განხილვას.

აქაურ ჟურნალისტთა წრეებში ყურადღებას აქცევენ მოლაპარაკებას, რომელიც დაიწყო სამი მთავრობის — შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების წარმომადგენელთა შორის გერმანიის საკითხებზე.

საბჭოთა წარმომადგენელი რატომღაც არ არის მოწვეული, რაც ბევრს აკვირვებს. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საქმე ეხება გერმანიის დასავლეთ რაიონებთან დაკავშირებულ ეკონომიურ პრობლემებს. მაგრამ მოლაპარაკება სწორედ სიტყვა საიდუმლოების ვითარებაში და აქაურ წრეებში გამოსთქვამენ მოსაზრებას, რომ მოლაპარაკება ეხება არა მარტო ეკონომიურ, არამედ სხვა საკითხებსაც. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ გარკვეული კავშირი არსებობს ამ მოლაპარაკებასა და იმ გარემოებას შორის, რომ მთავრობები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ დიდ სიჩქარესა და აშკარა მოუთმენლობას იჩენდნენ გერმანიის პრობლემის მიმართ, ახლა გაუგებარ გულგრილობას იჩენენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მისი განხილვისადმი.

უკრაინაში იუნრას მისიის ყოფილი ხელმძღვანელის განცხადება

ვაშინგტონი, 6 ივლისი. (საქდესი). იუნრას გენერალურმა დირექტორმა ლა გარდიამ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა ბერლინიდან მიღებული დაწვრილებითი ცნობა, რომელშიც უკრაინაში იუნრას ყოფილი ხელმძღვანელი მაკ-დაფი იუწყება, რომ იგი გადადგომას აპირებს. მაკ-დაფი აცხადებს, რომ მას სურს გადადგეს, ვინაიდან არ ეთანხმება იუნრას საჭიროებისათვის სახსრების ასიგნების კანონპროექტის შესწორებას, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ მიიღო და რაც იმას ნიშნავს, რომ იუნრამ ფაქტიურად შეუწყვიტოს მიწოდებანი უკრაინასა და ბელორუსიას.

თავის მიმართვაში მაკ-დაფი აცხადებს: ლა გარდიას რომ სახელმწიფო მდივნის მოადგილე აჩესონისა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კლეიტონისათვის მიემართა, „ისინი, ალბათ, აღიარებდნენ, რომ იუნრას ორი მისიის დამოკიდებულება ორი რესპუბლიკისადმი — უკრაინისა და ბელორუსიისადმი — და საბჭოთა ოფიციალური პირების თანამშრომლობა ამ რესპუბლიკებში წარმოადგენენ საბჭოთა კავშირთან ინგლის-ამერიკის ურთიერთობის უაღრესად მკაფიო მომენტებს მთელ მსოფლიოში". მაკ-დაფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრეს განსაზღვრული თანხა შეეტანათ იუნრას ფონდში, ამის შემდეგ იუნრა საჯაროდ დათანხმდა 1946 წლის 30 ივნისისათვის შეეტანა უკრაინაში 189 მილიონი დოლარის მასალები, ხოლო ბელორუსიაში 61 მილიონი დოლარისა. მაგრამ დღემდე გაგზავნილია დაპირებული რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

„ორმა საბჭოთა რესპუბლიკამ, — ნათქვამია შემდეგ, — ბოლომდე შეასრულა შეთანხმების თავისი ნაწილი... თუ კონგრესის წევრები და ამერიკელი ხალხი თუნდაც რამდენიმე წუთს დაფიქრდებიან ამის თაობაზე, ისინი იტყვიან, რომ უკრაინა ორი წლის განმავლობაში ოკუპირებული იყო და ძლიერ დანგრეულია. გერმანიის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინაში მოსპო ხალხმა, რომელიც თავის სახელგანთქმულ პარტიზან მებრძოლებთან ერთად მთელი წითელი არმიის ერთ მეხუთედამდე ნაწილს შეადგენდა და გაანადგურა გერმანელთა დაახლოებით იმდენი დივიზია, რამდენიც მეორე ფრონტზე გაანადგურეს ამერიკა-ინგლისის გაერთიანებულმა ჯარებმა... ჩვენმა მისიამ დაწვრილებით დაათვალიერა უკრაინა. ნგრევა შეუძლებელია და იუნრას პროგრამა მხოლოდ წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც უკრაინას ესაჭიროება. მე ვნახე, თუ რა ნგრევა მიაყენა ომმა ლიბიას, სირიას, ერაყს, ეთიოპიას, ინგლისს, საფრანგეთს, ბელგიას, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, ავსტრიას, იტალიასა და გერმანიას. ერთადერთი რამ, რაც ოდნავ შეედრება უკრაინაში მომხდარ ნგრევას, არის ვარშავასა და გერმანიის ზოგიერთ დაბომბილ ქალაქში მომხდარი ნგრევა".

ჩვენი მისიის ამერიკელი წევრები, განაგრძობს მაკ-დაფი, განაცვიფრა იმ საყოველთაო კეთილმოსურნეობამ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რასაც საბჭოთა რიგითი მოქალაქეები იჩენენ. მათ არაერთხელ მოუგონებიათ ჩვენთვის ლენდ-ლიზით მიღებული მასალების შესახებ და უთქვამთ, თუ როგორ უმჯობესდებოდა მათი მორალური მდგომარეობა იმ შეგნებით, რომ ისინი მარტოდმარტონი არ იყვნენ. მრავალჯერ და მუდამ მადლობის გრძნობით იხსენიებდნენ ფრანკლინ რუზველტის, როგორც ომიანობის დროს რუსეთისადმი ამერიკის მეგობრობის სიმბოლოს, აჩრდილს.

შემდეგ მაკ-დაფი აღნიშნავს, რომ უკრაინაში იუნრას მისიამ, რომელიც შესდგება 10 ამერიკელისაგან, 1 კანადელი ექსპერტისაგან სოფლის მეურნეობის დარგში და 1 ინგლისელისაგან, ოთხი თვე დაჰყო უკრაინაში, დაიარა მთელი უკრაინა და განზრახული აქვს მოიაროს კიდევ მთელი რიგი დიდი ქალაქები. ყველგან, სადაც კი მისია იყო, მისი წევრები ათვალიერებდნენ ყველა სკოლას, ჰოსპიტლებსა და სხვა ინსტიტუტებს, ქარხნებს, საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოებს, რომლებიც კი მათ სურდათ. მისიას თან ახლდა ორი ძირითადი ამერიკელი თარჯიმანი და გარდა ამისა უკრაინამ გამოჰყო ექვსი სხვა კომპეტენტური თარჯიმანი. უკრაინის მთავრობა, — ნათქვამია მაკ-დაფის მიმართვაში, — ხალისით გვაძლევდა ყველაფერს, რაც გვესაჭიროებოდა, მაგალითად, ბინას, ავეჯს, ავტომანქანებს, თვითმფრინავებს და სხვ. გარდა ამისა, ოფიციალური პირები გვაძლევდნენ ყველა სტატისტიკურ ცნობას, რაც იუნრას ესაჭიროებოდა".

დასასრულ მაკ-დაფი სწერს: „მე ვფიქრობ, რომ თუ კონგრესის წევრები მოიწონებენ იუნრას საქმიანობის შემზღუდველ შესწორებას, ისინი სასაცილონი აღმოჩნდებიან. მსურს გავემიჯნო ყოველგვარ ამნაირად დარღვეულ შეთანხმებას და პოლიტიკურ დათმობაზე დაბმარების გაცვლას".

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი რუსი კომპოზიტორისა და დირიჟორის, საბჭოთა კავშირის ჰიმნის მუსიკის ავტორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის, პროფესორ ალექსანდრე ვასილის-ძე ალექსანდროვის გარდაცვალებას.

საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 5 ივლისისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს 1946 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

დამზადება გრძელდება.

პარკის დამზადება განსაკუთრებით წარმატებით ჩაატარეს სამტრედიის, წულუკიძის, მახარაძის, ჩხოროწყუს, ქუთაისის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის, ზესტაფონის, ყვარლის, ახმეტის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ვანის, ცაგერის, გაგრის, წალენჯიხის, ცხაკაიას, თელავის, ბორჩალოს, ყარაიის, თბილისის, ბოლნისის, მცხეთის, წითელ-წყაროს, ტყიბულის რაიონებმა და ქუთაისმა.

საქართველოს აბრეშუმის ყველა საგრენაჟო ქარხანამ საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა ჯიშიანი პარკის დამზადების გეგმა.

გ. მ. ჯინჭარაძეს არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 5 ივლისის დადგენილებით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობას, გენერლებსა და ადმირალებს მიენიჭათ სამხედრო წოდებანი. მათ შორის არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა **გიორგი მიხეილის-ძე ჯინჭარაძეს.**

ქრონიკა

7 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მეუღლე ქ-ნი დ. ფ. ბირნსი, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა როგორც სსრ კავშირში ამერიკის ელჩ ბ-ნ უოლტერ ბ. სმიტის სტუმარი.

იმავე დროს მოსკოვიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბ-ნი დ. რასელი.

დიზელ-ექსპრესის პირველი რეისი

6 ივლისს თბილისიდან სოჭში პირველი რეისით გავიდა სამგზავრო დიზელმატარებელი — ექსპრესი, რომელიც წაიყვანა ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთმა საუკეთესო ლუნინელმა, ხაშურის დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორმა ამხ. ფრანჩუკმა. ექსპრესის წამყვანთა შორის იყვნენ აგრეთვე ლუნინელი მემანქანეები ამხ. ტაბიძე, ნოზაძე და მასლოვსკი.

დიზელ-მატარებელი, რომლის შემადგენლობას 156 რბილი ადგილი აქვს, საათში 110 კილომეტრ სისწრაფეს ავითარებს. ექსპლოატაციის პირველ ხანებში მატარებელი თბილისიდან გავა ოთხჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათსა და კვირას.

იულიის კრაინის დემოკრატიულ ორგანიზაციათა საგაფიცვო კომიტეტის მიმართვა

ბელგრადი, 7 ივლისი. (საქდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს ტანიუგას კორესპონდენტის ცნობას ტრიესტიდან, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციათა საგაფიცვო კომიტეტმა ტრიესტისა და იულიის კრაინის „ა" ზონის მოსახლეობას მოწოდებით მიმართა, რომელშიც ნათქვამია:

საოკუპაციო სამხედრო ადმინისტრაციამ დემოკრატიულ ორგანიზაციათა საგაფიცვო კომიტეტს გაუგზავნა პოლკოვნიკ სმეტსის მიმართვა, რომლითაც იგი კომიტეტის წევრებს მოუწოდებს—მიიღონ ზომები გაფიცვის შესაწყვეტად. ამავე დროს სამხედრო ადმინისტრაციამ უკანონოდ გამოაცხადა გაფიცვა.

გაფიცვა უკვე ოთხი დღეა გრძელდება. ყველამ იცის, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია იგი. ორი დღის განმავლობაში ტრიესტი ტერორქვეშ ჰყავდათ ფაშისტთა ბანდებს, რომლებსაც სამოქალაქო პოლიცია ეხმარებოდა. ბანდებმა გაძარცვეს და მოსპეს უმნიშვნელოვანესი სახალხო ორგანიზაციების შენობები. ბევრ მოქალაქეს სერიოზული ზარალი მოუვიდა, ხოლო ზოგიერთ მოქალაქეს სცემეს და დანით დასჭრეს. სამოქალაქო პოლიცია ბანდებს ეხმარებოდა და ანტიფაშისტებს ტყვიას უშენდა. ამიტომ ხალხის მასების აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ჩვენ საოკუპაციო სამხედრო ადმინისტრაციას მოვუწოდეთ ჩარეულიყო ამ საქმეში, მაგრამ მან არავითარი ღონისძიება არ მიიღო, რის შედეგადაც მოხდა 30 ივნისისა და შემდგომი დღეების ამბები.

საოკუპაციო სამხედრო ადმინისტრაციამ დადგენილება გამოსცა თავისუფალი მანიფესტაციის აკრძალვის შესახებ, რაც მის უფლებამოსილებას აღემატება. ჩვენი გაფიცვა გამოხატავს ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. დემოკრატიული უფლებებისათვის. ფაშისტმა დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ თავიანთი დანაშაულისათვის. იმის გამო, რომ საოკუპაციო სამხედრო ადმინისტრაციამ ეს არ განახორციელა, ბრძოლა გრძელდება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით:

1. მესხი მარიამ ოქროპირის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ პირველი ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

2. ჩომარიანი არუსიაკ არაქელის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით:

1. ენდელაძე ზინაიდა სილიბისტროს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

2. ეფრიკოვა სათენიკ სტეფანეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ახალი ხულგუმოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

3. ესოიანი ანა მარქარის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პატარა ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;

4. ვართანიანი ვარსენიკ კარაპეტის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პატარა ხანჩალის კოლმეურნეობის წევრი;

5. მარკოსიანი გოპარიკ გიორგის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ფოკის კოლმეურნეობის წევრი;

6. მაცაბერიძე შუშანა პავლეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

7. ჭელიძე ანგელინა მელიტონის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით:

1. ბალდაველი ვერა გიორგის-ასული — დიასახლისი, სოფელი როხი, მაიაკოვსკის რაიონი;

2. ამირხანიანი ეპრაქსია ვართანის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

3. ბახენციანი აშხენ გრიგოლის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ პატარა არაქლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

4. ბოსოიანი არუსენიკ სიმონის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი არაქლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

5. გალოიანი ზარიკ მელიქისეტის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

6. გალოიანი სათენიკ ხაჩატურის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

7. გაჩეჩილაძე ბარბარე მაქსიმეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

8. გორგაძე ტერეზა მალაქიას-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

9. ვანციანი ნვარდ ამაიაკის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

10. ერანოსოვა ორომსიმა იაგორის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ასპარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

11. პროხოროვა ნინო ბესარიონის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როკითის კოლმეურნეობის წევრი;

12. ქასრაშვილი ნინო ანტონის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როკითის კოლმეურნეობის წევრი;

13. ქრელაშვილი მართა ნესტორის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

14. ხიზანეიშვილი ნინო პარმენის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით:

1. აბესაძე გალინა გიორგის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

2. არაქელიანი ლუსიკ სედრაკის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი გონდროს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

3. არაქელიანი ასტღიკ ამოთის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დიდი გონდროს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

4. ბროიანი ასკუი ეზეკას-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

5. გევონდიანი ეკაინა პეტრეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

6. გიგოლოვა ანა ავგუსტინის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ახალი ხულგუმოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

7. გიორგაძე ზინაიდა სპირიდონის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

8. გიორგაძე ნანუშა პლატონის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანის კოლმეურნეობის წევრი;

9. გომციანი ტირუნ სარქისის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ეშტიის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

10. ზატიკიანი ანაიდა ბიკიანოსის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ჯიგრაშენის კოლმეურნეობის წევრი;

11. ისპირიანი ზაირა ხაჩატურის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

12. ნაკაშიძე გალინა ბიქტორის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

13. სარალიძე აგრაფენა გიორგის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

14. სახამბერიძე თამარ ალექსანდრეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანის კოლმეურნეობის წევრი;

15. ჩინოვაევა ანა გრიგოლის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ასპარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

16. ჩხეტია ლეონინა ბიჭიას-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

17. წიქორიძე ეკატერინე ტრიფონის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

18. ჯახაჩბანიანი ტონა სარქისის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯალარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით:

1. აბულაძე მინადორა სტეფანეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

2. ანთანოსიანი ანა ალექსანის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ეფანოვის კოლმეურნეობის წევრი;

3. ანტონიანი ეხსო პოლოსის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ეფანოვის კოლმეურნეობის წევრი;

4. ბაგირიანი არუსენიკ ოვაკიმის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

5. გაბუნია ივდითი ოლიფანტეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ვარციხის კოლმეურნეობის წევრი;

6. გარჩაკუდაშვილი ნადეჟდა დიმიტრის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ქვემო დიმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

7. გელხვიძე მარიამ ემელიანის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანის კოლმეურნეობის წევრი;

8. გელხვიძე ნადეჟდა ამბაკოს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანის კოლმეურნეობის წევრი;

9. ეფრიკოვა სოფიო სტეფანეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ახალი ხულგუმოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

10. კვეტენაძე ვერა ივანეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კოლმეურნეობის წევრი;

11. კოპცოვა აღათი ვასილის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკის კოლმეურნეობის წევრი;

12. ლევანოვა სოფიო ოჰანეზის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ახალი ხულგუმოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

13. მაღლაკელიძე ქეთევან ალექსანდრეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კოლმეურნეობის წევრი;

14. მაღლაკელიძე ლუბა გიორგის-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

15. მორჩიაშვილი გოგუცა კონსტანტინეს-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანის კოლმეურნეობის წევრი;

16. ორჯონიკიძე ელენე ლუკას-ასული — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ საკრაულის კოლმეურნეობის წევრი;

17. უსტიანი შოგან თათევოსის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ჯიგრაშენის კოლმეურნეობის წევრი;

18. ქობალიანი მარიამ დავითის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სათხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;

19. ცარუკიანი ევგენია მესროფის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1946 წ. 7 ივლისი
ქ. თბილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქუთაისის მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

1. ქუთაისის მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება:

ასათიანს მერი ტიხონის-ასულს

საყვარელიძეს ნიკოლოზ სიმონის-ძეს

ფალიაშვილს თამარ მიხეილის-ასულს

ფოჩხუას თინა არსენის-ასულს.

2. დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმავე სკოლისა და სასწავლებლის შემდეგი მუშაკები:

მუმლაძე თინა გიორგის-ასული

შკლიუტოვსკაია თამარ მიხეილის-ასული

ხარაბაძე ილია ვარლამის-ძე

ხურცილავა ივანე ოტიას-ძე

ჯაჯანიძე ვენერა გერმანეს-ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1946 წ. 8 ივლისი, ქ. თბილისი.



მოსკოვი. ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების განვითარების ხუთწლიანი გეგმა

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმაში ასახულია საბჭოთა მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის ყველაზე აქტუალური პრობლემები.

მეცნიერთა ყურადღებას უახლოეს ხუთწლედში პირველ რიგში იპყრობს ომის არახელსაყრელი სანიტარული შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები. შემუშავდება ქალაქების ჰიგიენური კეთილმოწყობის, გერმანულ ოკუპაციაში ნამყოფი ოლქების მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღების საკითხები. გამოკვლევათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნება ომის დროს დაზარალებულ მებრძოლთა ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციის აღდგენის პრობლემის დამუშავებას. ამასთანავე შეჯამებულ იქნება ნერვული სისტემის ტრავმის შემდეგ ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციის აღდგენის დარგში სამხედრო მედიცინის საქმიანობის შედეგები.

გადაწყდა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინფექციებისა და იმუნიტეტის პრობლემას. დამუშავდება გამოკვლევანი, რომლებიც განსაზღვრავენ ნერვული სისტემის როლს ავადმყოფური პროცესის განვითარებაში.

მეცნიერები განსაკუთრებით ღრმად შეუდგებიან ავთვისებიან სიმსივნეთა პრობლემის დამუშავებას. განზრახულია დაიწყოს კიბოს ქსოვილის ბიოლოგიის შესწავლა იმ მიზნით, რომ გამონახულ იქნას ავთვისებიან სიმსივნეთა ქსოვილების ზრდის შესაწყვეტი ყველაზე ეფექტური საშუალებანი. დიდი ყურადღება დაეთმობა ავთვისებიან სიმსივნეთა მალე გამოცნობის საკითხებს.

აკადემიის მთელი რიგი ინსტიტუტები თავიანთ გამოკვლევებს უძღვნიან დედის, ახალშობილისა და წლისა და მეტი ასაკის ბავშვთა შესწავლას. ამ პრობლემას ერთსა და იმავე დროს დაამუშავებენ თეორეტიკოსები და კლინიცისტები.

ახლებურად, ომის დროს შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, იქნება დაყენებული კვლევა ტრავმატული შოკის, სეფსისისა და სისხლის გადასხმის დარგში.

სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიაში განგრძობილ იქნება მთელი რიგი თეორიული პრობლემების დამუშავება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მეცნიერული მემკვიდრეობის განვითარებასთან დაკავშირებული შრომები. განზრახულია გამოინახოს თავის ტვინის ქერქის შესწავლისადმი მიდგომის ახალი მეთოდები, დაგეგმილია თავის ტვინის ქერქის აღნაგობისა და მისი ფუნქციების პარალელური გამოკვლევა. მეცნიერები გამოიყენებენ ტვინის ქერქში უმაღლესი ნერვული ფუნქციის დროს ელექტრომოვლენათა გამომჟღავნების თანამედროვე რადიოტექნიკურ მეთოდებს. შესწავლილი იქნება ახალშობილთა, ცხოველთა და ადამიანის ნერვული ფუნქციის პროცესთა ევოლუცია.

გამოკვლევათა მნიშვნელოვანი რაოდენობა მიეძღვნება ნივთიერებათა ცვლისა და ავადმყოფ ადამიანში მის დარღვევათა პრობლემას.

დაგეგმილია დიდი მუშაობა პენიცილინის ტიპის ახალ სამკურნალო პრეპარატთა გამოსანახავად. გულმოდგინე გამოკვლევათა ობიექტად გამოყენებული იქნება ჩვენი ქვეყნის სამკურნალო ნედლეული.

გეგმაში შეტანილია გამოკვლევები საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის დარგში, კვების საკითხები და სხვა. სულ დასახულია 33 დიდი პრობლემა.

(საკდესი).

კალინინგრადი დღეს

კალინინგრადი, 5 ივლისი. (საკდესი). გულწრფელი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ ქალაქის მშრომელნი და გვარდიელი მეომრები ცნობას იმის შესახებ, რომ კენიგსბერგს დაერქვა კალინინგრადი და კენიგსბერგის ოლქს კალინინგრადის ოლქი. საწარმოებში, ქარხნებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, ადგილობრივი გარნიზონის ქვეგანაყოფებში — ყველგან მიტინგები გაიმართა.

...კალინინგრადში ამჟამად დაძაბული შრომაა გაჩაღებული. აქ თავს იყრიან მშრომელნი სსრ კავშირის ყველა კუთხიდან. მოდიან სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები. ისინი გამსჭვალული არიან ერთი სურვილით — რაც შეიძლება სწრაფად და სრულად მოაგვარონ ახალი საბჭოთა ქალაქის ცხოვრება.

კალინინგრადის ოლქის ტერიტორია ძველთაგანვე დასახლებული იყო სლავთა ტომებით. გერმანელი დამპყრობლები აქ XII საუკუნეში გამოჩნდნენ. ყბადაღებული „ტევტონთა ორდენის" ქოფაკი რაინდები მთელი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ გამანადგურებელ ომებს სლავების წინააღმდეგ და XIII საუკუნის დამლევს ხელთ იგდეს სლავთა მიწა-წყალი, რომელიც გადაჭიმულია ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ნემანისა და ვისლის ქვემოწელს შუა. მოსახლეობა ნაწილობრივ გაჟლიტეს, ნაწილობრივ კი ტყვედ წაიყვანეს. ასე წარმოიშვა პრუსიის სახელმწიფო, რომელიც შავი რეაქციის დასაყრდენი გახდა.

1945 წლის აპრილში წითელი არმიის ჯარებმა იერიშით აიღეს ციხე-ქალაქი კენიგსბერგი.

მას შემდეგ, რაც კაპიტულაცია მოახდინა გერმანელთა ასიათასიანმა გარნიზონმა, რომელიც კენიგსბერგს იცავდა, თხუთმეტი თვე გავიდა. ამჟამად კალინინგრადში აღდგენილია და მწყობრში ჩადგა რამდენიმე მსხვილი სამრეწველო საწარმო. აღდგენილია ქაღალდ-ცელულოზის ორი დიდი კომბინატი, საექსპლოატაციოდ გადაეცა მძლავრი ვაგონმშენებელი ქარხანა. მან პირველი სატვირთო ვაგონები გამოუშვა. ზედიზედ შედის ექსპლოატაციაში გემთმშენებელი ქარხნის საამქროები. სრული ტემპით მუშაობენ მექანიკური ქარხანა და გემთა ვერფი.

კალინინგრადის გული საზღვაო უყინავი ნავსადგურია. აქ დადგმულია მძლავრი მცურავი და ხიდისებრი ამწეები. ნავსადგურს მოხერხებული ნავმისაბმელები აქვს საზღვაო გემების მისაღებად. გაცხოველებული მუშაობაა სამდინარო ნავსადგურშიც. ეს ნავსადგური ახლად შექმნილია საბჭოთა სამდინარო ფლოტის მუშაკების გმირული ღონისძიებებით. ივნისში სამდინარო ფლოტის მუშაკთა კოლექტივმა ათეულათასობით ტონა ტვირთი მიიღო და ნემანის აუზში პირველი ადგილი დაიკავა.

ბალტიის ახალ საბჭოთა ქალაქში — კალინინგრადში — ამჟამად ათეულ ათასობით მცხოვრებია. გაცხოველებული მისვლამოსვლა და ხმაურია მის ქუჩებში, რომლებიც მწვანეშია ჩაფლული. მუშაობენ ორი კინოთეატრი, წითელი არმიის თეატრი, დაწყებითი და საშუალო სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები. გახსნილია 50-ზე მეტი მაღაზია, სასადილოები, კაფეები და სასაუზმეები. ამუშავდა წისქვილკომბინატი, ელევატორი, ორი პურსაცხობი ქარხანა, თევზმაცივარი, ხორცკომბინატი. მუშაობენ ქალაქის ფოსტამტი, ტელეგრაფი, რადიოსატრანსლაციო კვანძი. საექსპლოატაციოდ გადაეცა 158 კილომეტრი წყალსადენის ქსელი. აღდგენის პროცესშია ქალაქის ტრამვაი.

უახლოეს ხანში კალინინგრადში იხსნება კულტურისა და დასვენების პარკი.

პიესა „ქუთაისელი პატრიოტები" კაუნასის თეატრში

ახალგაზრდა ქართველმა მწერალმა შ. სულამანიძემ ესტონურ ენაზე დასწერა პიესა „ქუთაისელი პატრიოტები", რომელიც დიდი წარმატებით სრულდება კაუნასის სახელმწიფო თეატრში. პიესა დადგა ოთხგზის ორდენოსანმა რეჟისორმა ალტუზენმა, მხატვრულად გააფორმა სცენკომ, მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა მახაინდმა.

პიესაში ასახულია ქუთაისის საწარმოთა მუშებისა და მოწინავე ინტელიგენციის თავდადებული შრომა სამამულო ომის პერიოდში.

ესტონეთის მშრომელებში პიესა დიდ ინტერესს იწვევს. თეატრი აუარებელ მაყურებელს იზიდავს.

პიესა „ქუთაისელი პატრიოტები" უახლოეს ხანებში დაიდგმება აგრეთვე ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ თეატრში.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირისადმი უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი სამი თვის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. ნაყოფიერად იმუშავა ქარხნის კოლექტივმა მეორე კვარტალშიც. ექვსი თვის საწარმოო გეგმა შესრულებულია 129,4 პროცენტით. გეგმის გადამეტებით ქარხანამ სამშობლოს მისცა 41 დაზგა.

კიროველთა ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ახალგაზრდობას, კომკავშირელებს, რომლებიც ყოველი ახალი საქმის თაოსნები და ორგანიზატორები არიან. კიროვის ქარხნის კომკავშირელები იყვნენ დიდი პატრიოტული საქმის — საქართველოს საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორები. მათ პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და სამშობლოს 218 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს გეგმის გადამეტებით. ამჟამად ქარხანაში არ არის ისეთი კომკავშირელი, რომელიც დავალებას არ ასრულებდეს.

კომკავშირის ორგანიზაცია წინათ ასე მოწყობილად როდი მუშაობდა. ქარხანაში მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი იყო მუშა ახალგაზრდობასთან მუშაობის დარგში. დაბალი იყო კომკავშირელთა საწარმოო აქტივობაც. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და კომკავშირული მუშაობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი კ. გოგლიძე). პარტბიუროს სხდომებზე ხშირად ისმენენ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხებს, ავლინებენ ნაკლოვანებებს, ნამდვილად, რეალურად ეხმარებიან ახალგაზრდებს წარმატებათა მოპოვებაში. აი რამდენიმე მაგალითი. საგრძნობლად ჩამორჩებოდა მექანიკური საამქრო № 9, სადაც მუშათა უმეტესობას ახალგაზრდობა შეადგენდა. პარტბიურომ მოისმინა საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ანგარიში, დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი და მათს განხორციელებაში დასახმარებლად გამოჰყო კომუნისტები. შედეგად საამქრომ მალე თავი დააღწია ჩამორჩენას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. კომკავშირელი ვ. მოსესოვი სისტემატურად ვერ ასრულებდა გეგმებს. პარტიულმა ორგანიზაციამ გამოარკვია, რომ მოსესოვს სამუშაო ადგილი არ ჰქონდა სათანადოდ მოწყობილი და პროფესიაც ჯეროვნად ვერ აეთვისებინა. მას მიამაგრეს კომუნისტი ინჟინერი ამხ. ა. ბელიკოვი. ამან მალე ნაყოფი გამოიღო: აპრილში ამხ. მოსესოვმა გეგმა 177 პროცენტით შეასრულა, მაისში — 237 პროცენტით, ივნისის გეგმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა. საიარაღო საამქროს კომკავშირელები ზატოჩნიკი, ზარქუა და ი. დეინეკი სამუშაო საათებში არ იყვნენ სათანადოდ დატვირთულნი, გაცვეთილი ინსტრუმენტებით მუშაობდნენ, არ იჩენდნენ ინიციატივას და ზოგჯერ შრომის დისციპლინასაც არღვევდნენ. პარტიული ბიუროს მიერ მათთან გაწეული მუშაობის შედეგად ახლა ისინი მოწინავეთა რიგებში დგანან და ყოველთვიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

პარტბიურო დიდ ყურადღებას აქცევს კომკავშირული კადრების შერჩევასა და აღზრდას. ამ მხრივ სასურველი შედეგი მოიტანეს პარტიული ორგანიზაციის დახმარების სწორმა ფორმებმა. მთავარი ისაა, რომ პარტიული ორგანიზაცია დასახულ ღონისძიებებს ახორციელებს არა კომკავშირელებისათვის გვერდის ავლით, არამედ მათთან ერთად, ახალგაზრდა აქტივისტების მეშვეობით. საქმე საბოლოო ანგარიშში კომკავშირელთა ხელით კეთდებოდა. ისინი იყვნენ საკუთარ ნაკლოვანებათა აღმომფხვრელნი, მუშაობის ახლებურად მომწყობნი.

სწორი პარტიული ხელმძღვანელობით სწრაფად გაიზარდა ინიციატივიანი ახალგაზრდა, წითელი არმიიდან დემობილიზებული კომკავშირელი ამხ. გ. პაიჭაძე, რომელიც ახლა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანია. მისი ინიციატივით ქარხანაში შეიქმნა 13 ახალგაზრდული ბრიგადა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს 6 თვის გეგმა.

წელს ქარხანაში 70 ახალგაზრდა მუშა დაეუფლა პროფესიებს. ყველა ისინი ჩაბმული იყვნენ ტექმინიმუმის წრეებში, სტახანოვურ და საღამოს სკოლებში. წრეები ახლაც ნაყოფიერად მუშაობენ. მათ ხელმძღვანელებად პარტიულმა ორგანიზაციამ გამოჰყო კვალიფიციური ოსტატები — კომუნისტები: ვ. სვანი, ი. ფირცხალავა, პ. პიასნიკოვი, ორდენოსანი ა. ბენდიაშვილი, მ. ისაკიანი და ორდენოსანი ხარატი ი. პეტრიაევი. ეს ამხანაგები გულმოდგინედ ასწავლიან ახალგაზრდებს შრომის სტახანოვურ მეთოდებს.

ქარხნის კომკავშირელები, ახალგაზრდები მთავარი ინჟინრის ვ. კოლოსოვსკის ხელმძღვანელობით ამჟამად ითვისებენ ფოლადისმჭრელი ახალი მანქანის წარმოებას. მესამე საამქროს ზეინკალთა ახალგაზრდულმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ვ. ოვჩარენკო), რომელიც 3 თვეა ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებს, მაისის საწარმოო დავალება 562 პროცენტით შეასრულა, კომკავშირელ რ. ჭელიძის ბრიგადამ — 268 პროცენტით და საინსტრუმენტო საამქროში ს. პროზოროვის ბრიგადამ — 263 პროცენტით. ასე კარგად იმუშავეს მათ ივნისშიაც.

პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღებამ და კომკავშირელთა საწარმოო ინიციატივის ზრდამ გამოიწვია ახალგაზრდების ლტოლვა ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში. წელს ორგანიზაციას 32 კომკავშირელი შეემატა. ახლა კომკავშირელთა რიგებში არიან მოწინავე ხარატები ი. ხურციძე, ე. ჩიხრაძე, ე. ზავგოროდნაია, ი. ნევზოროვი, ა. ერმაკოვი, მ. გაჟკო. თვითეული მათგანი ყოველდღიურად ოთხ-ხუთ ნორმას იძლევა. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ფართოდ აბამს მოწინავე კომკავშირელებს მუშაობაში, ამზადებს მათ თავის რიგებში მისაღებად. ასეთი მზრუნველობის შედეგად გაიზარდნენ და პარტიაში იქნენ მიღებული მოწინავე კომკავშირელები: მ. ნონიკაშვილი, ა. ჩერნოვი, ბ. ეზერნიცკი, ს. ძაგანიძე, გაბროშვილი და სხვები.

ასე მუშაობს დედაქალაქის მოწინავე ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის მთელ საქმიანობაში სჩანს მზრუნველი პარტიული ხელი, კონკრეტული ხელმძღვანელობა, რაც საბჭოთა ახალგაზრდას ზრდის ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ე. მღებრიშვილი

სიტყვა და საქმე

— სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად გვაქვს დაყენებული. ქარხნის საამქროებში ცვლების მიხედვით გამოყოფილი არიან აგიტატორები და მესაუბრე-წამკითხველები. ისინი მონდომებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. სისტემატურად გამოდის საქარხნო და საამქროთა კედლის გაზეთები, ვაწყობთ საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე ლექციებს. — განაცხადა კასპის ცემენტის ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ივანე გუდიაშვილმა.

სინამდვილეში ასე როდია. მართალია, აგიტატორები და მესაუბრე-წამკითხველები გამოყოფილი არიან, მაგრამ თუ რას აკეთებენ ისინი, ამით ერთხელაც არ დაინტერესებულა პარტიული ორგანიზაცია. ჩვენ თვითონ გავეცანით ზოგიერთი აგიტატორის მუშაობას. მუშათა საერთო საცხოვრებელში აგიტატორ გიორგი მერებაშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ არცერთი საუბარი არ ჩაუტარებია. უსუფთაო და მოუწყობელია საცხოვრებელი, მუშათა კულტურული დასვენებისა და გართობის მოწყობისათვის არ ზრუნავენ. ელექტროსაამქროს აგიტატორმა სიმონ ნონიაშვილმა ჩვენს შეკითხვაზე — ატარებს თუ არა იგი საამქროში საუბრებს, განაცხადა: „საუბრებს როგორ ჩავატარებდი, როდესაც არც კი ვიცი აგიტატორი ვარ თუ არაო". პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. გუდიაშვილს აგიტატორი ს. ნონიაშვილი მოწინავე აგიტატორთა სიაში ჰყავს შეტანილი. სრულ უმოქმედობას იჩენენ აგიტატორები ქეთო დეისაძე (გამოწვის საამქრო), ნინო რევიშვილი (სატრანსპორტო საამქრო), მილიცა კუტლიაშევა (ლაბორატორია), ალექსანდრე გვერდწითელი (დამხმარე მეურნეობა), გიორგი ყაზარაშვილი (მექანიკური საამქრო) და სხვები.

აგიტკოლექტივიც არაფერს აკეთებს. მისმა ხელმძღვანელმა ვლადიმერ კატარმასოვსკიმ თვენახევრის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოაწყო სემინარი.

არცერთ საამქროში ივნისში არ გამოსულა კედლის გაზეთი, არც საქარხნო კედლის გაზეთი გამოუშვიათ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში შესანიშნავად მუშაობდა ქარხნის წითელი კუთხე. აგიტატორები და მესაუბრე-წამკითხველები ხშირად სარგებლობდნენ კუთხეში დაგროვილი ლიტერატურით, აქ ეწყობოდა აგიტსემინარები. მაგრამ ორ თვეზე მეტია წითელი კუთხე საწყობად არის გადაქცეული.

მიმდინარე წელს საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის ბიურომ ორჯერ მოისმინა საკითხი ცემენტის ქარხანაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენების შესახებ, პარტორგანიზაციას დაუსახა ღონისძიებანი, მაგრამ საქმეს გაუმჯობესება მაინც არ დასტყობია.

როგორც სჩანს, უფრო ენერგიული ზომებია საჭირო.

ვ. ბუზალაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ჩაის ფოთლის გადაზიდვა ფერხდება— საჭიროა სასწრაფო ზომები

წელს წალენჯიხის რაიონში ჩაის ფოთლის უხვი მოსავალია. კრეფაც წარმატებით მიმდინარეობს. ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. მ. კვარაცხელია) არ აბრკოლებს მიზიდული ფოთლის გადამუშავებას, უშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას.

ცუდი საწარმოო მაჩვენებლები არა აქვს ფაბრიკას, მაგრამ მას გაცილებით მეტის მიღწევა შეეძლო, ფოთლის მიღება-გადაზიდვა რომ იყოს მოწესრიგებული. სოფელ ჯვარის, საჩინოს, ნაკიფუს და ობუჯის კოლმეურნეობების ჩაის პუნქტებამდე მისასვლელი გზები სრულიად უვარგისია. ოღრო-ჩოღრო გზებზე მანქანები ხშირად ფუჭდება. წვიმიან ამინდში მიმოსვლა წყდება და პუნქტებიდან ფაბრიკაში ჩაის ფოთლის მიზიდვა ბრკოლდება.

ხელშეკრულების მიხედვით, წვიმიან ამინდში კოლმეურნეობებმა უნდა უზრუნველყონ მოკრეფილი ფოთლის მიზიდვა ფაბრიკაში, მაგრამ ეს არ სრულდება. ხშირად მოკრეფილი ფოთოლი 2-3 დღე რჩება ადგილზე. ამის გამო ჩაი ჰკნება, ყვითლდება და ზოგჯერ ლპება კიდეც. სოფელ ნაკიფუს შეროზიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. შებონია) 300 კილოგრამი ჩაის ნედლეულის გადაზიდვა სამი დღით დააგვიანეს. როცა ფოთოლი ფაბრიკაში მიიტანეს, ის უვარგისი აღმოჩნდა. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სოფელ ობუჯის და ლიის კოლმეურნეობებშიც.

დამამზადებელ პუნქტებში არღვევენ ჩაის მიღების წესებს. ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიმღები პუნქტის გამგემ გ. მალაშხიამ 7 ათასი კილოგრამი მეორე ხარისხის ფოთოლი პირველ ხარისხად მიიღო. ასევე პირველი ხარისხის ფოთლად მიიღო ჯგალის კოლმეურნეობის პუნქტის გამგემ ი. კვარაცხელიამ 377 კილოგრამი მეორე ხარისხის ჩაი. მსგავსი შემთხვევა განმეორდა ლიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

ობუჯისა და ლიის კოლმეურნეობები მოკრეფილ ფოთოლს დაგვიანებით აბარებენ მიმღებ პუნქტებს. 30 ივნისს ბრიგადებიდან მოტანილი ჩაის დიდი ნაწილი გაყვითლებული აღმოჩნდა, რადგან 2-3 დღის წინათ მოეკრიფათ და თავი არ შეეწუხებინათ პუნქტში დროულად მიზიდვისათვის.

ჩაის ფოთლის გადაზიდვის მოგვარებისათვის ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ.

ვ. მესხია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მარცვლეული კულტურები აღებულია 31.107 ჰექტარზე

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით, 5 ივლისისათვის კოლმეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებული იყო 31.107 ჰექტარზე.

ლაგოდეხის რაიონში მოსავალი აღებულია 8.982 ჰექტარზე, სიღნაღის —4.769, ყვარლის—4.367, წითელწყაროს—2.047, ყარაიის—1.833, ბორჩალოს—1.830, ბოლნისის — 1.384, თეთრი წყაროს—1.714, გურჯაანის—1.183, კაჭრეთის—779, თელავის — 606, ახმეტის—359, საგარეჯოს — 206, თბილისის—520, მცხეთის—301, დუშეთის—25, ქარელის—54 ქუთაისის რაიონში—148 ჰექტარზე.

თივის აღება

5 ივლისისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თივის აღების გეგმა შესრულებული იყო 6,0 პროცენტით, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში—2,8, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის—0,4, შიათურის რაიონის—16,7, ონის—0,5, ამბროლაურის — 1,3, ცაგერის — 13,3 ქლუხორის—5,3, ახალციხის—15,5, ადიგენის—11,2, ასპინძის—15,2, ხაშურის—35,5, ქარელის—10,8, გორის —50,0, კასპის—85,0, წალკის—1,4, დუშეთის—2,3, თეთრი წყაროს—23,8, გურჯაანის—100,0, კაჭრეთის—61,6, სიღნაღის—57,2, წითელწყაროს — 67,7, თელავის—64,2, ახმეტის—57,3, ყვარლის—64,1, ლაგოდეხის — 33,3, თბილისის—74,3, მცხეთის—71,8, ყარაიის—94,6, ბორჩალოს—69,4, ბოლნისის—72,6, საგარეჯოს—27,6, ბაშკიჩეთის რაიონში—28,8 პროცენტით.

თივის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 16,2 პროცენტით.

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 5 ივლისის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	46,9	5,6	ქუთაისი	64,5	—
ქობულეთი	50,0	12,3	წყალტუბო	55,3	1,0
გალი	55,3	5,6	ტყიბული	44,1	2,8
ოჩამჩირე	57,6	12,1	ცხაკაია	43,3	3,5
გულრიფში	120,0	11,7	აბაშა	50,0	1,3
სოხუმი	98,0	—	გეგეჭკორი	47,4	2,9
გეგუთი	52,7	5,3	ზუგდიდი	50,0	5,0
მახარაძე	49,1	12,3	წალენჯიხა	60,6	5,2
ჩოხატაური	54,2	4,2	ჩხოროწყუ	50,3	5,2
ლანჩხუთი	52,1	9,6	ხობი	52,6	9,8
სამტრედია	52,7	10,0	ჩხარი	66,3	25,0
წულუკიძე	57,0	4,8	ზესტაფონი	62,0	—

ბათუმის, გალისა და ლანჩხუთის რაიონების ცნობები არასრულია.

ბათუმი. ლ. პ. ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. საამქროს ოსტატი ი. პილიხი (მარცხნივ) ესაუბრება ჩამომსხმელებს გ. გვასალიას და პ. ძნელაძეს. ფოტო ვლ. გინზბურგისა

სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის

ფეიქრები პირველხარისხოვან ქსოვილებს იძლევიან

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა. მარტში მან ფეიქართა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა და 65 ათასი მანეთი ჯილდო მიიღო. ივნისში მზა ნაწარმის გამოშვების გეგმა შესრულებულია 114,4, ხოლო საერთო პროდუქციისა — 120,7 პროცენტით. ყველაზე უკეთესად იმუშავა სამღებრო-სააპრეტურო საამქრომ, რომელმაც დავალება შეასრულა 114,4 პროცენტით. ამ საამქროში ა. ტატანაშვილის ბრიგადამ გეგმა შეასრულა 120 პროცენტით, შ. დუმბაძის ბრიგადამ — 115 პროცენტით. კარგად იმუშავეს ამავე საამქროს სტახანოველებმა გ. ბიჩნიკაშვილმა, მ. ჯანაშიამ და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ზრდა. გეგმით ივნისში ფაბრიკას პირველი ხარისხის პროდუქცია უნდა გამოეშვა 75,4 პროცენტის რაოდენობით, ფაქტიურად გამოუშვა 89,9 პროცენტი. ამას ფაბრიკის კოლექტივმა მიაღწია საამქროებში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით.

ფაბრიკის ნაყოფიერ მუშაობას მნიშვნელოვანწილად შეუწყეს ხელი ახლად ჩამოყალიბებულმა მუდმივმა ბრიგადებმა, რომლებიც მანქანა-დანადგართა შეკეთებაზე მუშაობენ, აგრეთვე ქვეოსტატთა რეზერვების შექმნამ და წუნმდებელთა მუშაობის საამქროებში გადატანამ.

ა. მახარაძე

41 დაზგა გეგმის გადამეტებით

მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე და გადამეტებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორმა საქართველოში — კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ივნისში 144,6 პროცენტით, ხოლო დაზგების გამოშვებისა — 111,1 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ოთხი დაზგა, მათ შორის 1 ახლად ათვისებული სახარატო დაზგა.

ასეთი მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად კიროველმა დაზგათმშენებლებმა განვლილ 6 თვეში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 41 დაზგა.

ყველაზე უკეთესად მუშაობდნენ ივნისში მექანიკური და აწყობი საამქროების კოლექტივები (საამქროთა უფროსები — გ. გოგოლაძე და მ. წეროძე).

ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში პროფესიათა მიხედვით საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს და საქარხნო პირველობა მოიპოვეს ზეინკლებს შორის — ა. ბენდიანიშვილმა, ი. ფირცხალავამ, გ. კვანმა, ბრიგადებს შორის — რ. ველიძის ბრიგადამ, მჭედლებს შორის მ. ბიკოვმა და ხარატებს შორის პ. ემელიანოვმა.

კ. მჭედლიშვილი

ვინ როგორ შეასრულა 6 თვის გეგმა

ქუთაისის მოწინავე საწარმოებმა სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მძლავრ შრომითს აღმავლობას მიაღწიეს.

მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკასთან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, 1946 წლის განვლილ 6 თვეში გეგმის გადამეტებით 10.161 მეტრი ქსოვილი გამოუშვა.

რიონჰესის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა და საკუთარი მოხმარებისათვის გათვალისწინებული ელექტროენერგიის 18 პროცენტი დაზოგა.

წარმატებით იმუშავა აგრეთვე ხორცკომბინატის კოლექტივმა, რომელმაც 6 თვის დავალება 131 პროცენტით გაანაღდა და შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით გაადიდა.

მოწინავე საწარმოთა გვერდით არიან ჩამორჩენილნიც. მაგალითად, ლიტოპონის ქარხანამ (დირექტორი ა. სურმავა) ნახევარი წლის გეგმა 81,6 პროცენტით შეასრულა, ხოლო ტყავფეხსაცმლის კომბინატმა (დირექტორი გ. დალაქიშვილი) 94 პროცენტით.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება ბიბლიოთეკებს და მათ მუშაკებს!

დიდი მნიშვნელობის საქმე

ბიბლიოთეკების ამოცანაა ფართოდ გაშალონ კულტურულ-მასობრივი მუშაობა მშრომელთა შორის ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციისათვის, ხელი შეუწყონ ხუთწლედის განსახორციელებლად მასების დარაზმვას.

ბიბლიოთეკამ უნდა შეაყვაროს წიგნი მასას და, რაც შეიძლება, მეტი მკითხველი მიიზიდოს. მისი მოვალეობაა დაეხმაროს მუშებსა და გლეხებს ცოდნის ამაღლებაში, იყოს განათლებისა და კულტურული დასვენების ნამდვილი კერა.

დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი მიგვითითებს: „ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხალხს ასეთი უდიდესი მოთხოვნა აქვს წიგნზე, საბიბლიოთეკო საქმემ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო".

იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ შეასრულოს დაკისრებული ამოცანები, საჭიროა მას შევუქმნათ სათანადო პირობები, მივცეთ კარგი ბინა, უზრუნველვყოთ საჭირო ინვენტარით, შევავსოთ ახალ-ახალი წიგნებით. ბევრგან ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ყურადღებით ეკიდებიან ბიბლიოთეკების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. მაგალითად, გეგეჭკორში სარაიონო ბიბლიოთეკა მოთავსებულია კარგად მოწყობილ ბინაში. მას უჭირავს ორი ოთახი და მოკლე ხანში გადაეცემა მესამეც, რომელსაც ამჟამად რემონტი უკეთდება. ბიბლიოთეკა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. ის სათანადოდ ეხმარება რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკებს წიგნების დამუშავებაში, სამუშაო გეგმის შედგენაში და სხვ. ლაგოდეხში სარაიონო ბიბლიოთეკისათვის ეწყობა ახალი სამოთახიანი ბინა.

მაგრამ ბიბლიოთეკებს ყველგან როდი უქმნიან პირობებს. მაგალითად, სამტრედიაში საქალაქო ბიბლიოთეკა მოთავსებულია ნოტიო და ნახევრად ბნელ ბინაში, რომელსაც სახურავიც დაზიანებული აქვს. ასეთსავე მდგომარეობაშია სიღნაღის რაიონის წნორისწყლის ბიბლიოთეკის ბინაც. გარდა ამისა, აქ არა აქვთ შედგენილი სისტემატური და ანბანური კატალოგები, არ აწარმოებს წიგნების ფონდის აღრიცხვა და საერთოდ ბიბლიოთეკის მუშაობა ჩაშლილია. სასოფლო საბჭოს აღმასკომი არ ცდილობს ბიბლიოთეკას აღმოუჩინოს ბინა და შეუქმნას მუშაობის ნორმალური პირობები. 1945 წლისათვის განზრახული იყო სიღნაღში საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნა, რისთვისაც ბიუჯეტით გაითვალისწინეს 14.000 მანეთი, მაგრამ ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა არ იზრუნეს გამოეძახათ სათანადო ბინა და გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ასეთი დამოკიდებულება საბიბლიოთეკო საქმისადმი შეუწყნარებელია. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები მეტი მზრუნველობით უნდა მოეკიდონ ბიბლიოთეკებს, გაუწიონ მათ ყოველდღიური დახმარება და მიაღწიონ მათს მუშაობაში წარმატებას.

ბ. კეკელია

კულტურის კერები სოფლად

წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევის ბიბლიოთეკა კულტურის ნამდვილი კერაა. ბიბლიოთეკა კანიმუშოდ არის მოწყობილი. გვირგვინებით გაფორმებული და სუფთად მოვლილი დარბაზის კედლები დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის, ჩვენი მწერლებისა და გმირების სურათებითაა მორთული. დარბაზის ცენტრში მოწყობილია ფოტოგამოფენა ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე. მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით ბიბლიოთეკას ცალკე აქვს გამოყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებნი და სახელდახელო სარგებლობის ბროშურები.

ფარცხანაყანეველი კოლმეურნეები თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში ატარებენ, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, იღებენ სხვადასხვა სახის ცნობებს და სარგებლობენ ახალი წიგნებით. ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებს მოხსენებებს და მკითხველთა კონფერენციებს.

ყოველივე ეს მიღწეულია ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მზრუნველობითა და დახმარებით.

ეს არ შეიძლება ითქვას წყალტუბოს სარაიონო ბიბლიოთეკის შესახებ. მას საკუთარი ბინაც არ გააჩნია, კლუბის პატარა ოთახშია შეხიზნული. საბიბლიოთეკო მუშაობა ჩაშლილია. წიგნები ბიბლიოთეკურად დაუმუშავებელია, არ არის შედგენილი კატალოგები, მოუვლელია წიგნის ფონდი, განიავებულია ჟურნალ-გაზეთები, არ ტარდება არავითარი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ბიბლიოთეკას არ ჰყავს აქტივი.

წყალტუბო საკავშირო მნიშვნელობის კურორტია და იქ დიდი მოთხოვნილებაა წიგნსა და გაზეთზე. სარაიონო ბიბლიოთეკაში მოსული ახალი წიგნები კი ხელუხლებლად აწყვია გაჭუჭყიანებულ თაროებზე. მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომი და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილება არ ზრუნავენ ამ ბიბლიოთეკის მუშაობის მოწესრიგებისათვის.

ასეთი მდგომარეობა მარტო წყალტუბოში როდია. საგარეჯოში სარაიონო ბიბლიოთეკა დერეფნის პატარა გადატიხრულ ნაწილშია მოთავსებული და ყველასაგან დავიწყებულია. წიგნის ფონდი აქ გაანიავეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას დიდი ხნის არსებობის ისტორია აქვს, ამჟამად იქ 1000 წიგნიც არ მოიპოვება.

არც კასპის რაიონში არის უკეთესად საქმე. სარაიონო ბიბლიოთეკას საკმაოდ მდიდარი წიგნის ფონდი აქვს, მაგრამ იგი იმდენად დაშორებულია რაიონის ცენტრს, რომ კასპის მოსახლეობამ არც კი იცის მისი არსებობა.

რაიონულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მასობრივ ბიბლიოთეკებისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობა და შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები.

ა. კალანდაძე

ორი გიგანტი

აგერ დედაალაზანი! როგორ გადაჰფენია ველს... კავკასიონის მთაგრეხილი, თითქოს ცასაც ეკუთვნის და მიწასაც, ამ თვალუწვდენელ ველზე მუხლმოყრით ჩამომჯდარა, ხოლო მხრები ღრუბლებისათვის მიუბჯენია. ეს ტანმორჩილი გორაკები კი, ჩვილი ბალახით ამწვანებული და ვერცხლის ნაკადულებით დასერილი, კავკასიონის მთაგრეხილის ნამდვილი შვილები არიან.

ათიოდე წლის წინათ სწორედ ამ გორაკებზე შირაქიდან მოჰქროდა ავტომანქანა. ავტოს სარკმლიდან მოსჩანდა ალაზნის ველის დიადი სანახაობა: ბაღები, ვენახები, ყანები და მასთან უამრავი ძეძვნარი, ძეძვნარი... ბინდდებოდა...

ავტომანქანა ძეძვნართან გაჩერდა. მანქანიდან რამდენიმე კაცი გადმოვიდა. ისინი დიდხანს ათვალიერებდნენ გარემოს. ბოლოს, ერთმა მათ შორის მტკიცედ სთქვა:

—აქ უნდა გავაშენოთ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა! ეს ძეძვნარი გაიკაფება და მის ნაცვლად ვენახს გავახარებთ!

ახალი სანახაობა ემატებოდა ამ კუთხეს.

რაღა დახატვა უნდა საქართველოს, ის ძველთაგანვე სილამაზით ბედნიერია, მაგრამ ეს ადამიანი ხატავდა მშობლიური ქვეყნის ცხოვრების ბედნიერებას. ამიტომ უყვარს ის—ხალხის სასიქადულო შვილი—ამ მთაველს, ჩამწკრივებულ ვენახებსა და ბაღებს.

გავიდა წლები.

რამდენიმე კილომეტრის სიგრძესიგანეზე გაშენდა ვენახი, ხეხილის ბაღები, მცენარეთა ხეივნები. საბჭოთა საქართველოს პირმშოა მევენახეობის ეს გიგანტი, ლავრენტი ბერიას მითითებითა და ზრუნვით წარმოიშვა იგი. ხირსა ეწოდა—ძველისძველი სახელი. თურმე ოდესღაც ჰყვაოდა აქ ვენახი, ირანელმა და მონღოლმა დამპყრობლებმა ამოთხარეს იგი. ისინი ვაზს ისევე ებრძოდნენ, როგორც ადამიანებს... ქართველებს არ შეუძლიათ უმამულოდ სიცოცხლე, ასე უფრო ადვილად დავიმონებთო...

სტალინურ ეპოქაში აღსდგა ერთ დროს სახელგანთქმული ხირსა—დიდებული ღვინის სავანე.

ღია ცის ქვეშ ასობით ქასრი აწყვია. მზის მცხუნვარე სხივებს გაუხურებია ეს კასრები. უამრავი ღვინოა შიგ—ორმოცდაათი ათასი დეკალიტრი...

— ნუთუ სარდაფები არა გყოფნით, ეს კასრები რომ გარეთა გაქვთ?..

ვეკითხები მეურნეობის დირექტორს დავით შარაშიძეს.

— როგორ არა, მაგრამ ასე განვაგრძობთ ღვინის დაძველებას. ყურძენს ამწიფებს მზე, ახლა უშუალოდ მზის სხივებით ვაძველებთ ღვინოს. კარგი ღვინო დგება ასე!...

გამახსენდა დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის სტრიქონები, ყირიმის ღვინის სარდაფში ყოფნის დროს რომ დასწერა:

„ვსვამდი და ვტკბებოდი. წავედი ფხიზელი, რადგან დრო არა მქონდა. ღვინოში ძლიერ ბევრი მზეა. გაუმარჯოს იმ ხალხებს, რომლებმაც იციან ღვინის დაყენება და მისი საშუალებით მზიური ძალა შეაქვთ ადამიანთა გულსა და სულში".

თვალს ახარებს 262 ჰექტარზე გაშენებული ვენახი ხირსის საბჭოთა მეურნეობისა. თვითეული ვაზი საგულისგულოდ არის მოვლილი. უხვსა და ტკბილ ნაყოფს იძლევა ალაზნის ველზე ნაზარდი ვაზი. მის ყურძენში ბევრი შაქარია. აქ ყოველწლიურად ოცი ათასამდე ცენტნერ ყურძენსა ჰკრეფენ, რომლიდან დაყენებულ ღვინოსაც ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხისაკენ გზავნიან. იმდენად ნოყიერია მიწა, რომ ზოგიერთ სანიმუშო ნაკვეთზე ასსამოცდათხუთმეტ ცენტნერ ყურძენს იღებენ, საშუალოდ კი სამოცდაათ ცენტნერსა ჰკრეფენ.

ორი მარანი აქვს ხირსის მეურნეობას, ერთი—ევროპული ტიპის ღვინოებისათვის, სადაც უზარმაზარ კასრებში ასხია ოქროსფერი პორტვეინი და შავი, ხავერდივით, კრიალა კაგორი, მეორე—კახური ტიპის ღვინოებისათვის. მეურნეობის მთავარ მეღვინეს, ნიკოლოზ ახოშვილს, ორივე მარანი უყვარს, მაგრამ კახური ღვინოების მარანში შესვლისას მაინც განსაკუთრებით უბრწყინავს სახე. სამას და ოთხასდეკალიტრიანი ქვევრები გრილად სხედან მიწაში. ქუდმოხდილი ქვევრებიდან თითქოს მამა-პაპანი იცინიან და მოგიწოდებენ შესვა წმინდა კახური.

ამჟამად მეურნეობაში მიმდინარეობს ქვევრების რეცხვა, ღვინოების გადაღება, ამთავითვე ემზადებიან რთველის შესახვედრად — ვაზებზე უკვე კრიალოსნებივით ასხმულა პატარა მტევნები და სრულდება მზის ოქროში.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება ხირსის საბჭოთა მეურნეობა, გაშენდება კეთილშობილი კახური ჯიშები—საფერავი და რქაწითელი, რომელთაგანაც აქ პორტვეინის ტიპის ღვინოებს აყენებენ. მეურნეობის ერთი დიდი მიღწევათაგანი ის იქნება, რომ ამ ხუთწლედში ალაზნის არხის წყალგარდნილზე გაშენდება საკმაოდ მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. ეს სადგური მეურნეობას საშუალებას მისცემს სრულ მექანიზაციაზე გადავიდეს. განათდება მეურნეობის ყოველი ობიექტი, ელექტროენით იწარმოებს ხვნა, გოგირდის შეფრქვევა, შეწამვლა...

ახალ ხუთწლედში მეურნეობა ააშენებს ორსართულიან ღვინის სარდაფს. წელს დამთავრდება ექვსი კაპიტალური შენობა და დაიწყება სამი ახალი სახლის აგება. ეს შენობები გათვალისწინებულია მეურნეობის მომსახურე პერსონალის საცხოვრებლად და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათათვის.

1950 წელს ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა საბჭოთა ქვეყანას მისცემს ოცდაათი ათას ცენტნერ საუკეთესო ჯიშების ყურძენს. საერთოდ ხირსას დიდი მომავალი აქვს. ამის პირობაა ალაზნის თვალუწვდენი, ნოყიერი ველი.

* * *

წინანდლის საბჭოთა მეურნეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი სარდაფი ექვს მილიონ ლიტრ ღვინოს იტევს. კახური მასალისაგან პირველად აქ დაიწყეს ევროპული ტიპის ღვინოების დაყენება. შემოდგომით ამ მეურნეობაში მოაქვთ თავიანთი ვენახების ნაყოფი თელავიდან, ნაფარეულიდან, მუკუზნიდან, ყვარლიდან.

კოლმეურნეებს წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებისაგან გადააქვთ ვაზის კულტურული მოვლის წესები. აკურის კოლმეურნეობის ვენახებს ვერაფრით ვერ განასხვავებ წინანდლის საბჭოთა მეურნეობის ვენახებისაგან. აკურელთა ასორმოცდაათ ჰექტარზე გაშენებული ვაზი ჩვეულებრივ ჰიგოებზე არ არის აკრული, არამედ მავთულზეა გადაყვანილი, რაც ხარჯებსაც და შრომასაც ბევრად ამცირებს.

საბჭოთა მეურნეობის ორასოცი ჰექტარი ვენახი ოთხ უბნად არის გაყოფილი—თელიანი, ნასამხარი, კონდოლი და ზედაჯგუფი. წელს გაზაფხული წვიმიანი იყო, მაგრამ მეურნეობამ ხვნაც, გათოხნაც და შეწამვლაც დროზე ჩაატარა. მეურნეობის მუშაკები თავს დასტრიალებენ თვითეულ ნაკვეთს, თვითეულ ვაზს.

ამასწინათ ღამით ძლიერი წვიმა მოვიდა, სეტყვამაც გადაიარა. მეორე დღეს, როგორც კი გათენდა, მეურნეობის დირექტორი ივანე ჩარკვიანი ვენახებში გავიდა. მას განსაკუთრებით ედარდებოდა თელიანის უბნისა. აქ გაშენებულია თორმეტი ჰექტარი ფრანგული ჯიშის ვაზი „კაბერნე", რომელიც სანაქებო ღვინოს იძლევა.

დირექტორს ვენახში დაუხვდა ამ უბნის ხელმძღვანელი მევენახე დათა სავანელი.

— აქ სრული მშვიდობაა!—დაახვედრა სავანელმა სალამთან ერთად მას და ორივემ ვაზის მწკრივებს ჩაუარეს.

დროდადრო ისინი დაბლა დაიხრებოდნენ ხოლმე, სინჯავდნენ ვაზის ფოთლებს, ახლად გამოჩენილ პატარა მტევნებს და წვიმის გამო აქა-იქ უცბად წამოზრდილ სარეველა ბალახს თვითონვე ჰგლეჯდნენ.

— ზოგიერთ ვაზს ოცი-ოცდახუთი მტევანი ასხია, წელს უხვი მოსავალი იქნება!—წარმოსთქვა ისევ სავანელმა და დირექტორს დაახედა ერთ-ერთ ვაზზე.

გულს ახარებს ასეთი ვენახი — კარგად მოვლილი და სიყვარულით ნაზარდი.

საბჭოთა მეურნეობას ბევრი მოწინავე ადამიანი ჰყავს. მევენახე შაქრია ბუცხრიკიძე ოცდათვრამეტი წელი მუშაობს წინანდლის მეურნეობაში. ჭაბუკი მოვიდა, აქ დავაჟკაცდა და აქვე გადაიბიჯა ნახევარ საუკუნეს. მის ოსტატურ ხელში სამაგალითოდ ხარობს მამული. შაქრიას კარგად ახსოვს, როდის შემოიტანეს საფრანგეთიდან „კაბერნე". შორეული ქვეყნის შვილს ჩვენმა მევენახეებმა კარგად მოარეს და ღვინოც მშვენიერი დააყენეს.

საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე გური კანდელაკი ერთ მიწაწყალზე მოყვანილ წითელ ღვინოებს — ფრანგულ „კაბერნეს" და ქართულ საფერავს ასე ახასიათებს: — ნაზი ღვინოა „კაბერნე", ფერად ლალი. იის ძლიერი სურნელი და ხილის გემო აქვს. სულ სხვაგვარია კახური საფერავი. ის ბროწეულის მუქი ფერისაა, ახალგაზრდობაში ცეცხლში გამდნარი ნალების სურნელი აქვს, ძველი კი ვაჟკაცურია, ბურგუნდიის ღვინის არომატი ახასიათებს.

თელიანის ნაკვეთზე გაზრდილი და წინანდლის სარდაფში დაყენებული „კაბერნე" 1939 წელს მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ნიუიორკში წაიღეს. თელიანის „კაბერნე" იქ შეხვდა საფრანგეთში წარმოშობილ თავის ძმას. შორეული ძმები ერთმანეთს შეაჯიბრეს და პირველობა საქართველოს მიწა-წყალზე ნაზარდს მიანიჭეს. დამტკიცდა, რომ „კაბერნე" ჩვენში უფრო კარგი დგება, ვიდრე თავის სამშობლოში.

მას შემდეგ ხშირად ნატრობდნენ ამერიკელნი ქართულ ღვინოს.

ახალი სტალინური ხუთწლედის მანძილზე წინანდლის მეურნეობაში ორას ჰექტარზე უნდა გაშენდეს მხოლოდ „კაბერნე", რომელიც ყოველწლიურად მოგვცემს ათეულ ათასობით დეკალიტრ ძვირფას ღვინოს.

ბევრი და რთული სამუშაო აქვს შესასრულებელი წინანდლის საბჭოთა მეურნეობას. ორას ჰექტარზე ვენახის გასაშენებლად საჭიროა სამ მილიონნახევარი ვაზის ნამყენი, რაც ადგილზევე უნდა დამზადდეს. მიმდინარე წელს დამზადებულია 351.000 ვაზის ნამყენი, რაც წელს შემოდგომაზე უნდა დარგონ ახლად გამოყოფილ ნაკვეთებში.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის ბოლოს მევენახეობის ეს ორი გიგანტი—ხირსისა და წინანდლის საბჭოთა მეურნეობები ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ბევრად მეტსა და უკეთესი ხარისხის ყურძენსა და ღვინოებს მისცემენ.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

1 ივლისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 1 ივლისი. (საკდესი). ადვოკატმა შტამერმა ტრიბუნალის საღამოს სხდომის დასაწყისშივე დაამთავრა მოწმე ეიხბორნის დაკითხვა და გამოიწვია დაცვის მესამე მოწმე გერმანიის ყოფილი არმიის გენერალლეიტენანტი ობერჰაუზენი. ეს მოწმე 1941 წლის სექტემბერში წავიდა კატინის ტყეში, სადაც ჰიტლერელებმა პოლონელთა მასობრივი დახვრეტა მოაწყეს. უპასუხებს რა დამცველის კითხვებზე, ეს მოწმე ამტკიცებს, თითქოს მან არ იცოდა არავითარი ბრძანება პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ და თვით დახვრეტის ფაქტი.

შემდეგ ტრიბუნალი იწყებს კატინის ტყეში ჰიტლერელების დანაშაულობის საქმეზე ბრალდების მოწმეთა ჩვენების მოსმენას. სასამართლოს დარბაზში შემოდის ქალაქ სმოლენსკის ბურგომისტრის ყოფილი მოადგილე გერმანული ოკუპაციის დროს ბაზილევსკი. უპასუხებს რა ბრალმდებლის ამხ. სმირნოვის შეკითხვებზე, მოწმე აჩვენებს, რომ, როგორც მან კარგად იცოდა, 1941 წლის გაზაფხულზე სმოლენსკის მახლობლად იმყოფებოდნენ პოლონელი სამ-...

...მა რამე იმის შესახებ, თუ რა მიზეზით მოხდა ეს დახვრეტა?

მოწმე: დიახ, როცა მაცნობა, სამხედრო ტყვეებს ბოლო მოუღეს, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, დიდი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ეს ამბავი უაღრესად საიდუმლოდ ინახებოდესო, და დამიწყო პოლონელი სამხედრო ტყვეების მიმართ გერმანელთა მოქმედების გზის განმარტება. მან აღნიშნა, ეს პოლონელი სამხედრო ტყვეებისადმი დამოკიდებულების საერთო სისტემის ერთ-ერთი რგოლიაო.

ბრალმდებელ სმირნოვის მიერ მოწმე ბაზილევსკის დაკითხვის შემდეგ ბაზილევსკის მთელი რიგი კითხვები მისცა დამცველმა შტამერმა. შტამერი ყოველნაირად ცდილობდა ჩირქი მოეცხო მოწმის წინანდელი ჩვენებისათვის. მიუხედავად ადვოკატის ხრიკებისა, მოწმემ კვლავ დაადასტურა მთელი ფაქტები, რომლებითაც მტკიცდება გერმანელ ხელისუფალთა დანაშაული სმოლენსკის ახლოს კატინის ტყეში პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტაში.

...

2 ივლისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 2 ივლისი. (საკდესი). ...

2 ივლისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 2 ივლისი. (საკდესი). ...

ბულგარეთის მთავრობის მემორანდუმი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს

სოფია, 5 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ბულგარეთის მთავრობამ გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელიც ერთი თვის წინათ წარედგინა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზში. ბულგარეთის მთავრობის ეს დამატებითი მემორანდუმი ახალი არგუმენტებით ასაბუთებს ბულგარეთის თვალსაზრისს, რომელიც ჩამოყალიბებულია აპრილში წარდგენილ წინანდელ მემორანდუმში.

ბულგარეთი დაჟინებით იცავს თავის მოთხოვნას მიიღოს რეალური გასასვლელი ეგეოსის ზღვაში და შეიერთოს დასავლეთ თრაკია.

„ლაპარაკია, — ნათქვამია მემორანდუმში, — არა ბულგარეთის ტერიტორიის გაფართოების სურვილით ნაკარნახევ პრეტენზიებზე და კიდევ უფრო ნაკლებად მტრობისა და აგრესიული სულისკვეთების გამომჟღავნებაზე ბერძენი ხალხის მიმართ, რომელთანაც ბულგარეთს მშვიდობიანი და მეგობრული ცხოვრება სურს.

მაგრამ იმის საჭიროება, რომ ბულგარეთს რეალური გასასვლელი ჰქონდეს ეგეოსის ზღვაში, იმდენად აშკარაა, რომ ბულგარეთის უფლებები ამ გასასვლელზე არაერთხელ ყოფილა ...

...

მიხაილოვიჩისა და მის თანამონაწილეთა გასამართლება

ბელგრადი, 5 ივლისი. (საკდესი). გუშინ სასამართლომ მიხაილოვიჩისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო დაკითხა დაცვის რამდენიმე მოწმე.

შესვენების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა მრავალი დოკუმენტი, რომლებიც მოწმობენ მიხაილოვიჩის კავშირს ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის ზოგიერთ წრეებთან.

...ლოვიჩი სწერდა, რომ მან კავშირი დაამყარა „რკინის გვარდიასთან" და რომ განზრახულია ხორია სიმას შეხვედრა მის, მიხაილოვიჩის, წარმომადგენელთან.

გამოქვეყნდა აგრეთვე ინგლისელ პოლკოვნიკ ბეილის მიერ მიხაილოვიჩისათვის 1943 წლის 3 მარტს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ბეილი მიხაილოვიჩს გადასცემს ზერვასის სურვილს, რაც შეიძლება მალე დამყარ-...

...

როსტოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ თბილისში გამოიწვია როსტოვის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი რსფსრ დამსახურებული არტისტი ბ. ბენსკი). გასტროლები დაიწყო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში 29 ივნისს. დღემდე თეატრმა მაყურებელს უჩვენა ვ. შჩერბაკოვის „თამბაქოს კაპიტანი", კალმანის „მარიცა", აბრაჰამის „საღამო სავოიაში" და ბრომეს „მარიონის ქორწინება". ...

...მოვნო მოსასმენს ხდის ამ სპექტაკლს. ამ ოპერეტაში კარგი ოსტატობა გვიჩვენეს მსახიობებმა რ. ბრუსილოვსკაიამ, ა. სერგეენკომ, მ. სნეგოვმა, ე. კუშნირმა, ბ. დალმა.

ყველა სპექტაკლი გაფორმებულია ლამაზად, რაც მხატვრისა და რეჟისორის უტყუარ ნიჭსა და გემოვნებას მოწმობს. თეატრი საუკეთესოდ იყენებს სინათლის ეფექტებს. საერთოდ ტექნიკური მხარე ამ თეატრში მაღალ დონეზე დგას. სპექტაკლების წარმატებას ხელს უწყობს ძლიერი ორკესტრი, რომელსაც დირიჟორი ვ. კარპონოსოვი ხელმძღვანელობს.

როსტოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები საინტერესო მოვლენაა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ტრაქტორი" (სტალინგრადი)

7 ივლისს მოსკოვში, „სტალინეცის" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოს" და სტალინგრადის „ტრაქტორის" გუნდები. დაძაბული თამაშის შემდეგ მატჩი მოიგეს სტალინგრადელებმა ანგარიშით 2:1.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

9 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობა. შესავალი ლექცია თემაზე: **„საქართველოს ერთიანობის აღდგენა — გიორგი ბრწყინვალე".**

ლექციას წაიკითხავს დოცენტი **გრიგოლია.**

9 ივლისს, საღამოს 8 საათზე ჩატარდება დოცენტ ქადეიშვილის კონსულტაცია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

ლექციები

9 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ბერიას სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (ჯაფარიძის ქუჩა, 22) პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის შესდგება ი. რუხაძის ლექცია ქართულ ენაზე: **„მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების გეგმა ახალ ხუთწლედში".**

შესვლა თავისუფალია.

9 ივლისს, საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქუჩა № 2) შესდგება გოგლიძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „საქართველოს სსრ ეკონომიკა მეოთხე ხუთწლედში".

შესვლა თავისუფალია.

სემინარი

9 ივლისს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქუჩა № 2) რაიონის სამეურნეო-პარტიული აქტივისათვის შესდგება სემინარი თემაზე: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების შესახებ".

სემინარს ჩაატარებს დოცენტი **ხიზრიშვილი.**

9 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„საქართველოს სსრ ეკონომიკა მეოთხე ხუთწლედში".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ახათიანი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივი იუწყება ...

...

მდგომარეობა ინდონეზიაში

...

თეატრები

...

კინოები

...

...მისამართი: ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, ვაკეთა 35-ე საშუალო სკოლა.

დირექცია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოხი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და ხამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. ჟკ 00176